პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 302^1 მუხლი:

მუხლი 302^1. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების არალეგალური ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ზღვიდან ინტროდუქცია

,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების არალეგალური ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ზღვიდან ინტროდუქცია ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

მუხლი 2. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვარს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი